საგაზეთო ჩანართი
# ინტელექტი
ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა
№1 / 2013

# „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“

**ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ 2013 წლის ოქტომბრიდან ახალი პროექტის – „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ განხორციელება დაიწყო. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს აჭარის რეგიონის ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მუნიციპალიტეტების თემების მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას თვითმმართველობის არსის, თვითმმართველობის ორგანოების არჩევის წესისა და ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით. პროექტის შესახებ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ხელმძღვანელმა ლევან გობაძემ გვესაუბრა.**

ლევან გობაძე

**– ბატონო ლევან, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ დაიწყო ახალი პროექტის – „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ განხორციელება. რა ფაქტორებმა განაპირობეს ამ პროექტის შემუშავების აუცილებლობა?**

– აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. მკითხველისათვის ალბათ ცნობილია, რომ 2012 წელს ჩვენმა ორგანიზაციამ დაასრულა პროექტი, რომლის ფარგლებშიც შემუშავებული იქნა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები, სინვესტიციო პასპორტები, მარკეტინგული გეგმები. ყველა მუნიციპალიტეტის გამგეობაში ჩამოყალიბდა მოქალაქეთა მომსახურების, ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი მომსახურების ცენტრები, შემუშავდა რეგლამენტები არსებული მუნიციპალური მომსახურების ყველა სახეობისათვის, ასევე შეიქმნა და ინტერნეტში განთავსდა მუნიციპალიტეტების საინფორმაციო ინტერნეტპორტალები.

განხორციელებულმა პროექტმა საფუძველი ჩაუყარა მძლავრ ბაზისს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს მუნიციპალიტეტების შემდგომი სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესები, მუნიციპალური მომსახურების სისტემის შემდგომი განვითარება და მოსახლეობის ინტერესებზე მათი ორიენტაციის ხარისხის გაზრდა.

ყოველივე ამის მიღწევა შეუძლებელია, თუ მუნიციპალიტეტებში არ იქნება არჩეული ისეთი საკრებულოები, რომლებიც მოსახლეობის მოთხოვნებსა და ინტერესებზე იქნებიან ორიენტირებული, სადაც საკრებულოს თითოეულ წევრს ექნება საკმარისი კომპეტენცია და პასუხისმგებლობის გრძნობა იმისათვის, რომ შეძლოს განვითარებაზე ორიენტირებული მუნიციპალური პოლიტიკის ფორმირება, შესაბამისი საბიუჯეტო პროგრამების შემუშავება და მათი იმპლემენტაცია.

სწორედ ასეთი საკრებულოების არჩევის მხარდაჭერისაკენ არის მიმართული პროექტი, რომლის განხორციელებაც ჩვენმა ორგანიზაციამ ოქტომბერში დაიწყო და 18 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

**– რა არის პროექტის მიზანი და ამოცანები, რომელ მუნიციპალიტეტებს მოიცავს პროექტი?**

– პროექტის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი, საზოგადოების ფართო ფენების თავისუფალ გამოვლინებაზე დაფუძნებული თვითმმართველობის ორგანოების არჩევასა და მათ ინსტიტუციონალურ განვითარებას.

პროექტით გადაწყვეტილი უნდა იქნეს სამი ძირითადი ამოცანა:

– ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების თემების მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება თვითმმართველობის არსის, თვითმმართველობის ორგანოების არჩევის წესისა და ფუნქციონირების, საარჩევნო კანონმდებლობის, საარჩევნო პროცედურების საკითხებთან დაკავშირებით;

– თემების მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების და სამართლებრივი კულტურის ამაღლება;

– სამიზნე მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალური და მართვის შესაძლებლობების გაძლიერება.

იმედი გვაქვს, რომ პროექტის განხორციელების შედეგად სამივე ამოცანა წარმატებით იქნება გადაწყვეტილი.

**– ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ აღრეც ჰქონდა მსგავსი პროექტი – „ჩემი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“, „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ რით განსხვავდება წინა პროექტებისგან? ახალ პროექტზე მუშაობა წინა პროექტის წარმატებამ ხომ არ განაპირობა?**

– პროექტი, რომლის განხორციელებაც ოქტომბერში დავიწყეთ, თავისი შინაარსით იდეიტურია წინა პროექტებისა. არის მცირედი განსხვავებები მეთოდოლოგიაში, რომელსაც ვიყენებთ მიმდინარე პროექტის განხორციელებისას. ყოველი პროექტი გვაძლევს უნიკალურ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებაც ხდება ყოველი შემდგომი პროექტის შემუშავების დროს.

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ახალი პროექტის შედეგები იქნება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე წინა პროექტებისა. კერძოდ:

ჩვენი მოლოდინით, გარემო 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ იქნება თავისუფალი. ანუ არ იქნება ის წნეხი მოსახლეობისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ, რაც აღრე ჩატარებული არჩევნებისთვის იყო დამახასიათებელი. შესაბამისად, მოსახლეობა შეძლებს თავისი ნების თავისუფალ გამოხატვას არჩევნების საშუალებით. საჭიროების შემთხვევაში კი საკუთარი ხმის დაცვასაც.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ახალი კანონმდებლობა თვითმმართველობის შესახებ. საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილია კანონშროექტი, რომელიც თვითმმართველობის სისტემის მნიშვნელოვან რეფორმირებას ითვალისწინებს. ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებულია სასოფლო კრებების ჩამოყალიბება, რომელიც, ჩვენი აზრით, იქნება მძლავრი ინსტრუმენტი სოფლების მოსახლეობის თვითმმართველობის პროცესებში მონაწილეობისათვის. შესაბამისად, ჩვენი მოლოდინით, უნდა გაიზარდოს სოფლის მოსახლეობის მოტივაცია, უკეთესად აითვისონ თვითმმართველობის პროცესებში მონაწილეობის მექანიზმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ამ კანონის მოსახლეობისათვის გაცნობა, რათა მათ შეძლონ თვითმმართველობის პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობა, საკუთარი თემების ინტერესების ლობირება.

**– რატომ გაუსვით ხაზი გენდერულ თანასწორობას? იქნებ წინა პროექტების მაგალითზე...**

– გენდერულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება გამოწვეულია ჩვენი მცდელობით, რაც შეიძლება მეტი ქალი გამოვიდეს საზოგადოებრივ ასპარეზზე, ჩაერთოს თვითმმართველობის პროცესებში. როგორც აღრე განხორციელებულმა პროექტებმა გვიჩვენა, ქალების ინტერესი ადგილებზე მიმდინარე პროცესებისადმი დიდია, მაგრამ ამ პროცესებში მათი მონაწილეობის ხარისხი არის ძალიან დაბალი. შესაბამისად, ჩვენი გადაწყვეტილებაც - ხელი შეგვეწყო ქალთა გააქტიურებისა და საზოგადოებრივ ასპარეზზე მათი გამოსვლისათვის, სავსებით ლოგიკურია.

**– როგორია თქვენი მოლოდინი?**

– პროექტით გათვალისწინებულია რამდენიმე პარალელური საქმიანობა, რომლებიც რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგის მიღებას შეუწყობს ხელს. კერძოდ:

– ფართომასშტაბიანი საინფორმაციო-საგამანათლებლო შეხვედრების ჩატარება რეგიონის მუნიციპალიტეტების თემებში.

ამ საქმიანობის ფარგლებში საინფორმაციო-საგამანათლებლო შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებს 63 თემში მცხოვრები ოჯახების 2/3 მაინც. საინფორმაციო-საგამანათლებლო შეხვედრების ასეთი მასშტაბი საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ამომრჩეველთა ის კრიტიკული მასა, რომელიც კარგად იქნება გათვითცნობიერებული თვითმმართველობის საკითხებში, საკრებულოების, გამგეობების ფუნქციებში, საკრებულოს წევრის უფლება-მოვალეობებში და თავის არჩევანს გააკეთებს საკუთარი შეხედულებებისა და მსოფლმხედველობის საფუძველზე და არა ვინმეს მოწოდების ან ზეწოლის მიხედვით.

– საკრებულოს წევრების კანდიდატების შეხვედრების ორგანიზება თემების მოსახლეობასთან ნინასაარჩევნო პერიოდში.

ეს საქმიანობაც წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან კომპონენტს. მისი საშუალებით გვინდა ხელი შეკუნქყოთ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების ახალი სტანდარტების დამკვიდრებას. ისეთი სტანდარტებისა, რომლის დროსაც საკრებულოს წევრობის ყველა მსურველს კარგად აქვს გააზრებული საკუთარი პასუხისმგებლობა და ჯერ კიდევ წინასაარჩევნო ეტაპზე შეუძლია წარსდგეს თავისი ამომრჩევლების წინაშე კონკრეტული პროგრამით.

– ტრენინგების ჩატარება ახლადარჩეული საკრებულოს წევრებისათვის.

ამ საქმიანობის ფარგლებში, არჩევნების დასრულების შემდეგ, საკრებულოების საფინანსო-საბიუჯეტო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიების წევრებს ჩაუტარდებათ ტრენინგები მუნიციპალური ბიუჯეტების დაგეგმვის, მიზნობრივი პროგრამების შემუშავების, მოსახლეობის მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევის, მუნიციპალური მომსახურების პრინციპებისა და მომსახურების სტანდარტების შემუშავების შესახებ.

აღნიშნული საქმიანობით მიღწეული იქნება მეტად მნიშვნელოვანი შედეგი. ახლადარჩეულ საკრებულოს წევრები მიიღებენ პრაქტიკულ ცოდნასა და შეიძენენ აუცილებელ უნარ-ჩვევებს საბიუჯეტო და მუნიციპალური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუნიციპალური ბიუჯეტების მოსახლეობის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტაციის ხარისხის ამაღლებაში, მუნიციპალური მომსახურების სისტემის სრულყოფაში.

– საკრებულოს მაჟორიტარი წევრების და თემების მოსახლეობის ყოველთვიური შეხვედრების ჩატარება.

აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში, არჩევნების დასრულების შემდეგ, ყოველთვიურად ორგანიზებული იქნება თემების მოსახლეობის შეხვედრები საკრებულოების მაჟორიტარ წევრებთან. შეხვედრებზე განხილული იქნება თემების ნინაშე არსებული გამოწვევები, მათი გადაწყვეტის სავარაუდო გზები, მუნიციპალური ბიუჯეტები, მიზნობრივი პროგრამები და სხვა აქტუალური საკითხები.

ამ საქმიანობით გვინდა ხელი შეკუნქყოთ ტრადიციის დამკვიდრებას, როდესაც საკრებულოს მაჟორიტარი წევრები ნინასწარ უთანხმებენ საკუთარი თემის მოსახლეობას საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს, საბიუჯეტო პროგრამებს, ახდენენ თემის ნინაშე მდგარი აქტუალური პრობლემების კვლევას და ა.შ. ჩვენ მიერ, პროექტის ფარგლებში ორგანიზებული იქნება რამდენიმე შეხვედრა და იმედი გვაქვს, რომ პროექტის დასრულების შემდეგ ასეთი შეხვედრები გაგრძელდება. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება შეხვედრების ინიციატორი - თემის მოსახლეობა თუ თვით საკრებულოს წევრი. მთავარია, ასეთი დიალოგი გაგრძელდეს. დიალოგის არსებობა კი აუცილებლად მოიტანს შედეგს - თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას, მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შემსუბუქებას, საბიუჯეტო პროგრამების მოსახლეობის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტაციის ხარისხის ამაღლებას.

**– ვინ არის პროექტის დონორი ორგანიზაცია?**

– პროექტი მიმდინარეობს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მინდა აღვნიშნო, რომ დაფინანსება პროექტისათვის მოვიპოვეთ კონკურსის გზით. პროექტი წარვადგინეთ კონკურსში, რომელშიც ათობით სხვა, ქართული და ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობდნენ. ჩვენმა პროექტმა ძალიან მაღალი შეფასება დაიმსახურა და შესაბამისად დაფინანსებაც მიიღო.

მე ძალიან მეამაყება, რომ ბათუმში არსებულ ერთ პატარა არასამთავრობო ორგანიზაციას - ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ შეუძლია ასეთი დონის საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობა და როგორც ჩვენი ისტორია მოწმობს, გამარჯვებაც.




**საგაზეთო ჩანართის გამოსაცემ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე**

**მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13**
**ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50**
**ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge**
**ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge**